№ 209 8 ოკტომბერი, ხუთშაბათი. 1866—1881 8 ოკტომბერი, ხუთშაბათი. № 209

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“, „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებისა-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთი ანუ მოკლე სტრიქონის ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილს. ის წერილი რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

პირველის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ცალკე ღირს — სამი მანეთი

**ივერია**

ცალკე ღირს — ორი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ ხუთი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მომწერმა ათი შაური უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელნიც ადრესს იცვლიან, ახალ ადრესთან თავიანთი ძველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოგზავნონ.

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

**ჭყონია**

ქ. ქუთაისში

მიიღებს სამოქალაქო საქმეებს საწარმოებლად ყველა სასამართლოებში, რომელნიც ექვემდებარებიან ქუთაისის ოლქის სასამართლოს, და აგრეთვე თფილისის პალატაში. სადგომი აქვს სილაზედ, საკუთარ ეახლში. (4—4)

სახაფხულო თეატრში

შაბათს, 10 ოკტომბერს

პირველი დებიუტი გ. ალექსეევისა-მესხიევისა და ქ. ბებურიშვილისა. ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**შეშლილია!**

დრამა 2 მოქმედებ.

II

გულმა იგრძნო.

კომედია 1 მოქმედებად.

III

დივერტისმენტი.

ქ. ბებურიშვილისა წაიკითხავს სცენებს გურულთ ცხოვრებიდამ.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზედ.

# ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 6 დეკემბრისთვ. „მმართებლობის მოამბეში“ სწერია, დიდი მთავარი ვლადიმერი მეუღლით პეტერბურღში დაბრუნდა 4 დეკემბრისათვეს. უმაღლესისა ბრძანებით გრაფ ვალუევი, თავის თხოვნით, დათხოვნილი იქმნა მინისტრთა კომიტეტის თავჯ-მჯდომარეობისაგან, კავკასიის კომიტეტისაგან და თხოვნების კამისიისაგან და დარჩა წევრად სახელმწიფო რჩევისა, სტატს-სეკრეტრისა და სასტიო ოფიცრის წოდებით. კამიტეტის თავს-მჯდომარედ დანიშნულია რეიტერნი; ესევე იქნება დროებით თავს-მჯდომარედ უმთავრეს კამიტეტში სოფლების დასახლების თაობაზედ; თხოვნების კამისიის თავს-მჯდომარედ დროებით დანიშნულია თ. დოლგორუკოვი.

გაზ. „ახალი დროება“ სწერს: ექსპერტების უმეტეს ნაწილს სამიკიტნოების გაჭრობით (ტორგით) გაცემის მხარე უჭირავთ; ამაზედ კენჭის ყრა ოთხშაბათამდი გადიდვა.

**პეტერბურღის ბირჟა, 8 ოკტომბ.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96— | „ |
| მეორესი — — — — | 92— | 50 |
| მესამესი — — — — | 93— | 75 |
| მეოთხესი — — — | 92— | 75 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90— | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90— | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90— | 75 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7— | 64 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 224— | „ |
| მეორე სესხის — — | 218— | „ |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 26— | 3 | პენსი |
| ბერლინი — | „ — | „ | პფენიგ |
| ჰამბურღი — | 222— | „ | ცენტი |
| პარიჟი — | 274— | 25 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — | — | — | |

## ახალი ამბები.

„მმართებლობის მოამბეში“ მოყვანილია შემდეგი ანგარიში კავკასიის მხრის სამოქალაქო გამგეობის შემოსავალ-გასავლისა მომავალ 1882 წლისათვის:

ნაღდ შემოსავალს მოელიან — 6,690,357 მან. ამაში გლეხების გარდასახადიდამ—2,286,344 მან., შემოსავალი სასმელებისა, ნავთისა, თამბაქოსი და მარილისა—1,636,179 მ., გერბის ქაღალდისა—471,900, ნოტარიუსების, სასამართლოების და კანცელარიების—205,000, ვაჭრობისა და წარმოების უფლებისათვის—686,000, სხვა-და-სხვა ბაჟის—271,728, მთ ის შემოსავალი — 32,900, ფოჩტის — 81,048, შემოსავალი სახაზინო იჯარებისა, თევზისა და სხვ.—493,569, სახაზინო ტყეების შემოსავალი — 142,754, სხვა-და-სხვა შემოსავალი— 87,879 და სახელმწიფო ხაზინის შემწეობა გარეშე წყაროებიდამ — 295,701 მან.

განსხვავება შარშანდელსა (7,639,402 მან.) და წლევანდელს შემოსავალს შორის წარმოსდგა იმისაგან, რომ დამოქნის შემოსავალი (1,003,493 მან.) წელს დამოქნის დეპარტამენტს გარდაეცა.

კავკასიის სამოქალაქო გამგეობის გასავალი მომავალ წელს უნდა იქნეს სულ 8,459,111 მან. აქედამ: კავკასიის მთავარ-მმართებლისათვის ხარჯი—27,238 მან., მთავარ-მმართებელთან დანიშნულ ჩინოვნიკებისათვის—25,843, ცენტრალურ გამგეობათათვის—427,012, ამავე გამგეობათა სხვა-და-სხვა ხარჯი — 124,000, კავკასიის მხრის საზოგადო ხარჯი—733,000, საექიმო უწყების ხარჯი—157,343, სასულიერო წოდებაზე იხარჯება—122,694, სამასწავლებლო ნაწილისათვის—460,076, საქალაქო, სამაზრო, ნორმალურ და პირველ-დაწყებით სასწავლებლებისათვის—161,025, სამასწავლებლო უწყების დახმარება და სხვა-და-სხვა ხარჯი—52,646, ახალ სასამართლოებისათვის—1,061,668 და სხვ.

ამ ანგარიშით გასავალი 962,660 მანეთით ვარდემატება შემოსავალსა.

*
* *

დუშეთის მაზრიდამ გვაცნობებენ, რომ ზოგიერთს სოფლებს პირუტყვის ჭირი მოსდებია და დიდ-ძალ საქონელს ხოცავს განსაკუთრებით გლეხებისასო. და ამ გაჭირების დროს ადგილის ადმინისტრაცია ყურსაც არ იბერტყსო; ძალიან საჭიროაო, დროზედ მოაშველოს მთავრობამ ხალხს ექიმი, რომ შეაჩეროს ეს ჭირი და მით ცოტა შემსუბუქება მაინც მიენიჭოს ხალხსაო.

*
* *

4 აპრილის სახსოვრად გახსნილის თფილისის საავათმყოფოს გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამ თვის 13-ს, საავათმყოფოს დაარსების დღეს, სიონის სობორში და შემდეგ ამავე საავათმყოფოში იქნება მოლევანი, რომელზედაც შეუძლიან დაესწრონ ყველას, ვინც ამ კეთილ დაწესებულებას თანაუგრძნობს.

*
* *

ბუშინ საღამოს ხელ-ახლად დაიწყო „მეფხის-ტყაოსნის“ რედაქციის სხდომები. ამ პირველს სხდომაზე, სხვათა შორის, დაესწრო ჩვენი პატივცემული პროფესორი დ. ი. ჩუბინოვი, რომელიც დღეს დილით სოფ. ქვიშხეთში წავიდა ბ. დ. ი. ყიფიანთან სტუმრად.

*
* *

მოგეხსენებათ, რომ ქულაშელ ურიებს, ანუ უკეთა ვსთქვათ, რამდენიმე მათგანს დასწამდა ქრისტიანის ყმაწვილ გლეხის ბალანჩივაძის დაჭერა ვითომ-და იმიტომ, რომ მათთვის საჭირო ყოფილიყოს ქრისტიანის სისხლი.

ამ ბრალდებას ეხლა იკვლევს მართლ-მსაჯულება. მაგრამ ადგილობრივს უმეცარს და ცრუ-მორწმუნე ხალხს წინ-და-წინვე სჯერაო, როგორც ქულაშიდამ გვატყობინებენ, ბრალდების სინამდვილე.

ამის გამო მოუსპიათ ყოველ-გვარი სავაჭრო განწყობილება ურიებთან და გარდა ამისა უწყალოდ სცემენ, სადაც კი შეხვდებიან, საცოდავ ურიებსო.

სასურველია, რომ ამისთანა განწყობილებას ურიებსა და ქულაშელთ შორის მალე მოეღებოდეს ბოლო და ეს ძნელი ასასრულებელიც არ არის, თუ ადგილობრივი დაწინაურებული თავადნი გაირჯებიან და ჩააგონებენ ხალხს, რომ საქმის დაბოლავებამდის მისი სინამდვილეთ ჩათვლა უკანონობა და უსამართლობაა, რომ მართლ-მსაჯულება მიუდგომლად და ჭეშმარიტებით გადასწყვეტს—ვინ არის ამ საქმეში დამნაშავე და თუ არის ვინმე, რა მიზანი ჰქონდა მას, როცა ბოროტ-მოქმედების გზას დაადგა...

*
* *

ზურიიდამ გვაცნობებენ, რომ წრეულს ჯერ-ჯერობით ძალიან კარგი მოსავლის პირი ეტყობა ყურძენს თუ აწ არ წაახდინა უდროვო სიცივეებმაო. განსაკუთრებით სოფ. სა-

ჯავახოში იმისთანა მოსავალს ელიან, რომლის მსგავსი ამ ოცი წლის განმავლობაში არ ყოფილაო.

## „დროების" კორესპონდენცია.

—

**დ. ყვირილა;** 5 ოქტომბერს. დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენმა მმართებლობამ მოხედა გლეხების მამა-პაპიდგან უმეცრების სიბნელეში ყოფნას და დააარსა მათ შორის განათლების მალამოს მოსაცხებლად სახალხო სკოლები. ყოველგვარი საქმე და ყოველ ნაირი დაწესებულობა თხოულობს მცოდნე კაცს. ეს ყველასთვის უეჭვო ჭეშმარიტებაა; უამისოდ ყველას რაღაცა სიბნელის შუქი ადგია; ვერაფერში წინ წასვლა ვერ ემჩნევა.

ასეთივე არის სახალხო განათლების საქმეც. მართალია, მოანიჭა მართებლობამ გლეხებს დიდი უფლება; მათ შორის სკოლები დახსნა ამის შემწეობით მოინდომა მათი გონებით ამაღლება, მაგრამ მარტო სკოლების გახსნით საქმე არ დაგვირგვინდებოდა. ჩემის ჰაზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ პირველად გახსნილიყო ისეთი სასწავლებლები, რომლებსაც შეეძლოთ კეთილად მომზადება სახალხო მასწავლებლებისა, იმ წყნარ სახალხო განათლების ასპარეზზე მუშისა, რომლის კისერზედაც არის დამოკიდებული გლეხის მომავალი, კეთილ-წარმატება.

ჩვენში კი სულ სხვანაირად იყო სახალხო განათლების საქმე.

გაიხსნა თუ არა სკოლები, გაივსო, მეორე დღესვე სოფლის პატარა ბიჭებით; მოსთხოვეს მასწავლებელი და ბ. სახალხო სკოლის დირექტორი გზავნის ისეთ მასწავლებლებს, უმეტეს ნაწილად, რომელთაც მასწავლებლობა ფლავის ჭამა გონიათ, არამც თუ რაიმე პედაგოგიური განათლება მიუძღოდეს წინა. მაშ რა ქნას? სკოლები იხსნება, სპეციალურად მომზადებული მასწავლებლები არსად არიან. ადგა და გზავნა, ვინც კი „სლაჟენია და უმნოჟენიე" იცოდა. ამათი მიზანი, რასაკვირველია, პირველალად ის იყო, რომ ეპისკოპოზს კარგად შეენიშნა და შემდეგ მღვდლად მალე ეკურთხნა და მეორედ პირველს ადგილას ჰქონდა თავის ჯიბის კეთილ დღეობა და არა იმ მაღალი დანიშნულების აღსრულება, რომლისათვისაც იყო მოწოდებული. მოდიოდა რამოდენიმე საზოგადოებაში, მასწავლებელი, რომელსაც ერთი-ორი წლის განმავლობაში ათიც თუ ყვანდა ბავშვები. ის თავისთვის არხეინად ჯამაგირს იღებდა და ბავშვები კი ფეხებზე ეკიდა. მე ვიცი იმისთანა საზოგადოება, სადაც ბავშებს თითონ მამები აღარ გზავნიდნენ სკოლაში იმ მიზეზის გამო, რომ ჩვენს შვილებს ახლა ზრდიან, რუსულს ასწავლიან და შემდეგ სალდათათ წაიყვანებენო. მასწავლებლის ყურებს ეს ყოველ დღე ესმოდა და თვით საქმითაც მტკიცდებოდა, რომ შაგირდების რიცხვი თუ კლებულობდა, თორემ არას მატულობდა. ყოველი ფერი ეს ესმოდა და ხედავდა კიდეც, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავდა, როდესაც თითქმის მისი ზნეობითი ვალი იყო ხალხის ქადაგება და მათი სხვა-და-სხვა გონიერი სიტყვებით და რჩევით სწორ გზაზედ დაყენება; მისი ვალი იყო, ახსნა სწავლა-განათლების გემო, განემარტა კარგათ სკოლის მიზანი, რომელსაც არამც თუ ის აქვს სახეში, რომ ნამდვილად სალდათათ მოამზადოს მათი შვილები, არამედ, მისცეს მას შეძლებისა-და-გვარად ყოველ მხრით გარმონიულად, ზნეობითი და გონებითი გახსნა და ცოტათი მაინც გაათავისუფლოს იმ უმეცრებიდგან, რომელშიდაც არიან ჩაცვივნული.

აი ეს არის ამდროს მასწავლებლის ვალი და ახლა მიბრძანეთ: აასრულებდენ თუ არა ამ მოთხოვნილებას უმეტესი ნაწილი ჩვენი სახალხო მასწავლებლებისა, რომლებიც, თავისულად ვიტყვი, ნამეტნავად ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე ან მესამედგან გამოსულნი არიან?

ამნაირი მასწავლებელნი გვყავდა აქამდის ჩვენს სასწავლებელში და ახლაც ბევრი არიან, რომელთ შემწეობითაც დაიკეტა მრავალი საზოგადოებაში სასოფლო სკოლები. ახლა სამასწავლებლო სემენარიები გვეხსნება და ისინი მაინც, იმედია, მოგვცემენ მომზადებულს მასწავლებლებს, ისინი მაინც გააგებინებენ ხალხს სკოლების და საზოგადოების სწავლის სიტკბოებას. მადლობა ღმერთს, ჩვენს ხალხში სწავლის მსურველნი დღე-დღეულობით მატულობენ და მათი რიცხვი თან-და-თან იზრდება. თუ „სერთუკიანი", ხარ ორ ნაბიჯს ვერ გადადგამ ამ ჩვენს „ყვირილის პროსპექტზე", რომ თავქუდ მოხდილი გლეხი და აზნაური არ გეღიტინებოდეს: „— შენი ჭირიმე, ეგებ ჩემი ბავშს მამიხერხო რამეო წელს „გელმაზიისთვის" ვამზადებდი ქუთაისში და „ეგზემენია", თუ რაღაცა, ის ველარ დაიჭირა და ისევ გამომიბრონესო.

იმდენად სწავლის მსურველია ჩვენს მაზრაში ხალხი, რომ, თუ კი ვინმე გამოჩნდება მასწავლებელი, მზად არიან ყოველი მისი გონიერი მოთხოვნილება დააკმაყოფილონ.

დიდად სასიამოვნო იქნება, რომ ერთი პედაგოგი ვინმე ჩვენს დ. ყვირილაში კერძო სკოლას გახსნიდეს, რომლითაც დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს მხარეს და არც თითონ იზარალებს; თუმც ამგზობისად აქ ერთს რუსის ქალს აქვს კერძო სასწავლებელი, მაგრამ ამ სკოლიდგან ბევრი ნამყოფის მოტანას არ მოველით, რადგანაც მან ქართული არ იცის. ეს მანდილოსანი არამც თუ თვითონ სწავლობს ქართულს, არამედ ბავშვებსაც უკრძალავს თურმე ერთმანეთ შორის ქართულად ლაპარაკს. ერთხელ ორ ყმაწვილს რაღაცაზე ლაპარაკი დაუწყიათ ქართულად და ორთავენი უსადილოდ დარჩენილან ამისთვის.

თ. ყვირილელი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარდვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარდვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამსოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამსოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

## თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გავლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

---

ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

# თფილისის თავად-აზნაურთასაადგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქვემო-მოხსენებულ პირთა ბანკში დაგირავებული უძრავი მამულები, ბანკის წესდების § 15 თანხმად, დანიშნული არიან გასასყიდლად, რადგან ამ მამულების პატრონებს თავის დროზე არ შემოუტანიათ ბანკში წესდებით დადგენილი გადასახადი ფული (თავნი და სარგებელი).

მამული აღარ გაისყიდება, თუ იმის პატრონი ხვედრ ფულს შემოიტანს.

| სახელი, მამის სახელი და გვარი მამულის მეპატრონისა. | რა გვარი მამულია! | სად მდებარებს მამული? |
|---|---|---|
| ქანანოვები, მაგდალინა პეტრეს ასული და ნიკოლოზ დავითის-ძე. | სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, სარდაფებით, თან ადგილი $190^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი და 1 არშინი და 188 ოთხ-კუთხი გოჯი. | 1 უჩასტკაში 1 განყოფილებაში ქ. თფილისს, დავიდოვის და კამენდანტის ქუჩ. |
| მაღალოვისა, მარიამ დიმიტრის ასული. | ოთხი ორ-სართულიანი სახლი ხუთის თითო სართ. ფლიგელით და სარდაფებით, თან ადგილი 958 ოთხ-კუთხი საჟ. | 6 უჩასტკაში 1 განყოფილებაში ქ. თფილისს, დამოქნის ქუჩაზე. |
| მიცვალებულ ნატალია შიოევის ვექილნი ივანე თულაშვილი, ლევან მლიმირზოვი და არტემ თამამოვი. | ორ-სართულიანი სარდაფიანი სახლი და ორ-სართულიანი სახლი ფლიგელით ყოველგვარ კუთვნილებით, თან ადგილი 562 ოთხ-კუთხი საჟ. 6 არშინი და 44 გოჯი. | 1 უჩასტკაში 1 განყოფ. ქ. თფილისს, ბალავანის პროსპექტ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სახელი, მამის სახელი და გვარი მამულის მეპატრონისა. | რა გვარი მამულია? | სად მდებარეობს მამული? |
|---|---|---|
| ყორდანოვი, ალექსანდრე სოლომონის-ძე. | ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი შენობებით და ეზოთი, სივრცით ადგილი 36 ოთხ-კუთხი საჟ. $6^3/_4$ ოთხ-კუთხი არშინი. | 2 უჩასტკაშა 1 განყოფ. ქ. ტფილისს, რტისჩევის ქუჩაზე. |
| სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული. | ა) ერთი ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი, ბ) ორი სამ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, და გ) თერთმეტი ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი, თან ადგილი 276 ოთხ-კუთხი საჟენი. | ტფილისში, ა) მე-7 უჩასტკაში 1 განყოფ. და ბ) მე-14 უჩასტ. 4 განყოფ. ჩუღურეთ. |
| ლაბაჩოვი, ემელიან ანტონის-ძე. | ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, ეზოთი, ადგილის ზომა $136^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. | მე-10 ბალის უჩასტ. 2 განყოფ., ტფილისში, დიდუბეში. |
| ციციშვილი, გიორგი ივანეს-ძე. | სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე სივრცით $977^1/_2$ დესიატინა. | ტფილისის ვუბერ. გორჩალოს მაზრაში სოფ ახლილა-ლალუსთან. |
| ერისთავი, ლუარსაბ ალექსანდრეს-ძე. | სახნავ-სათესი ადგილი, სივრცით 101 დესიატინა და 1,600 ოთხ-კუთხი საჟენი. | ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეტთან. |
| ჩოლოყაშვილები: ელენე ივანეს ასული, ელისაბედ და ნინო ილიას ასულნი. | სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე, სივრცით 3561 დესიატინა და 2000 ოთხ-კუთხი საჟენი. | ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზრაში, ჭიაურა. |
| კვეზერელი-კოპასისა, მარიამ სოლომონის ასული. | ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ორ-სართულიანი ფლიგელი ყოველგვარ კუთვნილებით, თან ადგილი 116 ოთხ-კუთხი საჟ. | მე-2 უჩასტკაში 1 განყოფ. ქ. ტფილისს დავიდოვის ქუჩაზე. |
| ბურდულოვი, ალექსანდრე სოლომონის-ძე. | ორი დუქანი, თან დგილი 600 ოთხ-კუთხი საჟ. | მე-11 უჩასტკაში ქ. ტფილისშ. |
| ერისთვისა, ილიტე დიმიტრის ასული. | ორ-სართულიანი სახლი, თან ადგილი, სივრცით 500 ოთხ-კუთხი საჟენი. | ქ. გორში, მთავარს ქუჩაზე. |
| ალენიკოვისა, სალომე იაგორის ასული. | ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ორ-სართულიანი ქვით-კირის ფლიგელი, თან ადგილი 88 ოთხ-კუთხი საჟ. $1^1/_2$ არშინი. | 1 უჩასტკაში 1 განყ. დავიდოვის ქუჩაზე. |
| სლინკო, ანნა ივანეს ასული. | ორი ორ-სართულ. ქვით-კირის სახლი, თან ადგილი $111^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი. | მე-11 უჩასტკაში 2 განყოფილებაში ქ. ტფილისს, ელისავეტის ქუჩაზე. |
| ჭრელაშვილი გრიგორ დავითის-ძე. | ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, ბაღით, თან ადგილი 4 დესიატინა. | მე-16 უჩასტკაში 2 განყოფ. ქ. ტფილისს, ნავთლუღში. |
| ერისთავი, ალექსანდრე პავლეს-ძე. | წისქვილი და სადგომი, თან ადგილი 5610 ოთხ-კუთხი საჟ. | ქ გორში. |
| გაბუნია, მერაბ იაგორის-ძე. | ორ-სართულიანი სახლი დუქნებით, თან ადგილი სივრცით 125 ოთხ-კუთხი საჟენი. | ქ. გორში. |
| მირუმოვი, არშაკ ოლანეზას-ძე. | ა) სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბ) ორი ერთ-სართულიანი სახლი, თან ადგილი სივრცით—$241^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი. | მე-14 უჩასტკაში 2 განყოფ. ქ. ტფილისში, ავლაბარში. |
| ზარაფოვი, სტეფანე გიორგის-ძე. | ა) სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამ-სართულიანივე ფლიგელით და ბ) ორ-სართულიანი სახლი თავის სარდაფით, თან ადგილი $279^1/_2$ საჟ. | მე-10 უჩასტკაში 2 განყოფ. ქ. ტფილისში, ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე. |
| ლიზინ, მიხეილ პეტრეს-ძე. | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი შენობებით, თან ადგილი სივრცით—$29^1/_9$ ოთხ-კუთხი საჟ. | მე-12 უჩასტკაში 2 განყოფ. ქ. ტფ., პესკოვსკის ქუჩაზე. |
| პავლიევი, იაკობ სიმონის-ძე, | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, თან ადგილი 72 ოთხ-კუთხი საჟ. | მე-5 უჩასტკაში 1 განყოფ. ქ. ტფილისში, ნემეცების ქუჩაზე. |
| ხერხეულიძე, ზაალ დავითის-ძე. | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორ-სართულიანის ფლიგელით და შენობებით, თან ადგილი $180^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. | მე-11 უჩასტკაში 2 განყოფ. ქ. ტფილისში, ნიკოლაევსკის ქუჩაზე. |
| ამატუნი, ნაპოლეონ ივანეს-ძე. | ა) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანის ფლიგელით, სარდაფით და ორ-სართულიანის შენობით და ბ) ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, თან ადვილი 57,879 ოთხ-კუთხი საჟენი. | მე-4 უჩასტკაში 1 განყოფ. ქ. ტფილისში, ველიამინოვის ქუჩაზე. |
| ორლოვსკისა, სალომე იოსების ასული. | ერთ-სართულიანი სახლი ორ-სართულიანის ფლიგელით, სარდაფებით, ეზოთი, ბაღჩით და პოსტნის წყლით, ადგილის სივრცე—160 დესიატინა და 8 ოთხ-კუთხი არშინი. | 1 უჩასტკაში 1 განყოფ. ქ. ტფილისში, ერმალაევის ქუჩაზე, № 5. |
| სლინკო, ეკატერინა ივანეს ასული. | სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორ-სართულიანის ფლიგელით, სარდაფით და სხვა შენობით, თან ადგილი $313^3/_4$ ოთხ-კუთხი საჟენი. | 1 მიხაილოვის უჩასტკაში 1 განყოფ. ქ. ტფილისსა. |
| ფუდინოვი, ისააკ ნიკიტის-ძე. | ორი სამ-სართულიანი სახლი ორის სამ-სართულიანის ფლიგელით, თან ადგილი 156 საჟ. და 7 არშინი. | მე-6 უჩასტკაში 1 განყოფ. ქ. ტფილისს, ნორაშნისა და დავიდოვის ქუჩების კუთხეში. |
| სჩერბაკოვები: ელისტრად მაქსიმის-ძე და ავარტია აგაფონის ასული. | ორ-სართულიანი სახლი სარდაფით, თან ადგილი $144^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. | მე-10 უჩასტკაში 2 განყოფ. ქ. ტფილისში. |
| ჩოლაყაშვილი, ნიკოლოზ ზაალის-ძე და ჯანდიერი, ლევან გიორგის-ძე. | ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი ფლიგელით, თან ადგილი 800 საჟ. | ქ. თელავში. |
| პეპანოვი, თომა აველის-ძე. | ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი ეზოთი და თან ადგილით 235 ოთხ-კუთხი საჟ. | მე-16 უჩასტკაში 2 განყოფ, ქ. ტფილისში, ნავთლუღში. |
| ციციშვილი, დავით ივანეს-ძე. | ადგილი სივრცით 300 ოთხ-კუთხი საჟ. | მე-11 უჩასტ. 2 განყოფ. ქ. ტფილისს. |
| თუმანოვისა, ბარბარე ივანეს ასული (აპეკუნშა). | სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები და ტყე, სივრცით 292 დესიატინა და 1502 ოთხ-კუთხი საჟენი. | ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. წოდორეთს. |
| საგინოვი, მიხეილ პაატას-ძე. | საბალახე ადგილები და ტყე, სივრცით 2074 დესიატინა და 420 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფილისის გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. ახალ-დაბასთან, ზემო-ხოდაშენთან და ახშაათან. |
| ერისთავი, კონა მირიმანოზის-ძე. | სახნავ-სათესი და სამოსახლო ადგილები და ტყე, სივრცნთ 1009 დესიატინა. | ტფილისის გუბ. დუშეთის მაზრაში, სოფ. წონდოს. |
| სოლაღოვი, იესე ქაიხოსროს-ძე. | სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები, სივრცით 25 დესიატ. და 1620 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფილისის გუბ. და მაზრაში სოფ. კუმისში. |
| ერისთავები: რაფიელ და იოსებ დავითის-ძენი. | სახნავ-სათესი ადგილი და ტყე, სივრცით 900 დესიატ. | ტფილისის გუბ. თიანეთის მაზრაში, სოფ. ბოჭარმას. |
| ერისთავი, გიორგი გიორგის-ძე. | სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები და ტყე სივრცით 800 დესიატ. | იქვე. |
| იარალოვი, სერგეი ივანეს-ძე; ავსარქილოვი ფარსადან იაკულის-ძე და პირო მელქისედეკ იოსების-ძე (ადრე გიორგი შალიკოვისა) | სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე, სულ 426 დესიატ. და 1873 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფილისის გუბ. გორის მაზრაში, სოფ. სკარას. |
| ამათივე. | სახნავ-სათესი, სათიბი, საბალახე ადგილები და ტყე, სულ 673 დესიატ. და 866 ოთხ-კუთხი საჟ. | იქვე. |
| ბაისოღოლოვი, ვასილ სოლომონის-ძე (ადრე ბებუთოვისა). | სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი, ადგილები და ტყე, ადგილის სივრცე 208 დეს. 378 საჟენი. | ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. წყნეს. |
| შალიკოვები: კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე, ნიკოლოზ, გიორგი, მიხეილ და მართა დიმიტრისანი და სალომე პანტელეიმონის ასული. | სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე, სულ 1447 დეს. და 2296 ოთხ-კუთხი საჟენი. | ტფილისის გუბ. გორის მაზრაში, სოფ. სკარას. |
| გაბაშვილი, ანდრია მიხეილის-ძე. | სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 160 დეს. და 320 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფილისის გუბ. ტფ. მაზრაში, სოფ. ერთისს. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სახელი, მამის სახელი და გვარი მამულის მეპატრონისა. | რა გვარი მამულია? | სად მდებარეობს მამული? |
|---|---|---|
| კავრიევი. იოსებ ბესარიონის-ძე. | სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილი, 826 დეს. და 2384 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფილისის გუბ. ტფ. მაზრაში, სოფ. მოხისში. |
| ამილახვარი, ივანე თეიმურაზის-ძე. | სახნავ-სათესი და საბალახე ადგილი, 151 დესეტ. და 1756 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფილისის გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეტში. |
| შალიკოვი, იოსებ ივანეს-ძე. | სახნავ-სათესი ადგილი და ტყე, 270 დეს. | ტფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბურჯიანს. |
| გაბაშვილი, იოსებ დავითის-ძე. | სახნავ-სათესი, საბალახე და სამოსახლო ადგილები, 178 დეს. 2011 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. საგაბაშვილო ტხინვალში. |
| ანდრონიკოვი, რევაზ იოსების-ძე. | საბალახე ადგილი და ტყე, 105 დეს, და 1440 ოთხ-კუთხი საჟენი. | ტფილისის გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენ. |
| ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის-ძე. | სახნავ-სათესი, საბალახე და საბალახე ადგილები, 1434 დეს. და 1120 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფილისის გუბ. და მაზრაში, მესაყალის შინდლიარში. |
| ჩოლაყაშვილი, ნიკოლოზ თადეოზის-ძე. | სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე, 5774 დესიატ. და 775 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. ყარადულახში. |
| ბარათაშვილები: იოსებ, გიორგი, დავით, მარიამ და ბარბარე ივანესანი. | სახნავ-სათესი, საბალახე და სამოსახლო ადგილები, 536 დეს. 192 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. ქამარლოს. |
| თარხან-მოურავოვისა, მარიამ ბიძინას ასული. | სახნავ-სათესი და სა იბი ადგილები და ტყე, 545 დესიატ. და 1645 ოთხ-კუთხი საჟ | ტფილისის გუბ. გორის მაზრაში, სამუხრანოს. |
| ამილახვარი, ამირინდო ამირინდოს-ძე | სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები, 145 დეს. და 1756 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილისის გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეტში. |
| ერისთავი, მატატე მირიმანოზის-ძე. | სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები, 280 დეს. და 2006 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილისის გუბ. გორის მაზრაში, სოფ. ახნისში. |
| ყორღანოვები: ვასილი, ზაქარია, გრიგოლ, იოსებ, ალექსანდრე და მიხეილ აბელის-ძენი. | სათიბი ადგილი და ტყე, 203 დეს. და 120 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილისის გუბ. და მაზრაში, შავთა და ვანეთი. |
| ანდრონიკაშვილი, ზაქარია იესეს-ძე. | სახნავ-სათესი, სათიბი საბალახე ადგილები და ტყე, 4765 დესიატ. | ტფილისსს გუბ. ტფ. მაზრაში სოფ. ლომბალო. |
| ალექსეევი-მესხიევი, მიხეილ დიმიტრის-ძე. | სახნავ-სათესი, სათიბე, საბალახე ადგილები და ტყე, 178 დესიატ. 840 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილისის გუბ. ტფ. მაზრა. ახალდაბა. |
| ერისთავი, გიორგი გიორგის-ძე. | სახნავ-სათესი, საბალახე და სამოსახლო ადგილი და ტყე. 284 დეს. 1263 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილისის გუბ. თელავის მაზრა, ქისტაური. |
| შერვაშიძე, გრიგოლ ალექსანდრეს-ძე. | სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები და ტყე, 1093 და 950 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილ. გუბ. ტფ. მაზრა სოფ. დრი, წვერი, და წრიულეთი. |
| მაღალოვისა, მარიამ დიმიტრის ასული. | სახნავ-სათესი, სათიბი, საბალახე ადგილები და ტყე, 2867 დეს. 562 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილ. გუბ. ტფ. მაზრაში, სახელდობრ; სადახლო, შოჭკანი, ქვემო-ცოფი, თოხლი-ძლისჩა, არაბათალო, ფალიან-თაქიალ, ბალატიმა, ხუდჭაბა, ლიარვარის საბალახე, ნუდიბალა, არაბათალა და ბულიბაგა. |
| ციციშვილი, კირილე მდიშერის-ძე. | სახნავ-სათესი, საბალახე ადგილები და ტყე, 847 და 500 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილისის გუბ. ტფ. მაზრაში. |
| კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული. | სახნავ-სათესი, საბალახე ადგილები და ტყე, 104 და 1200 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილ. გუბ. ტფ. მაზრ. სოფ. ბოგვში. |
| სალაგოვი, იასე ქაიხოსროს-ძე. | სახნავ-სათესი, საბალახე, სათიბი ადგილები და ტყე, 212 დეს. 150 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილ. გუბ. ტფ. მაზრში, მონასტრის უდაბნოში. |
| ორბელიანი-ჯამბაკურიან, ალექსანდრე ივანეს-ძე. | სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები, 2189 დეს. და 1987 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილისის გუბ. და მაზრაშიში, წინანაურში, ყასალარში და ბაშკიჩეტში. |
| ვახვახოვისა, ეკატერინა გიორგის ასული. | სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, 308 დეს. და 555 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფილისის გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში. |

| სახელი, მამისა სახელი და გვარი მამულის მეპატრონისა. | რა გვარი მამულია? | სად მდებარეობს მამული? |
|---|---|---|
| ციციანოვისა, ხორეშან თადეოზის ასული. | სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, 234 დეს. და 1368 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფილისის გუბ. დუშეთის მაზრაში, სოფ. საგურამოს. |
| ქარუმიძე, ივანე პაატას-ძე. | სახნავ-სათესი ადგილი, 34 დეს. 1320 საჟ. | ტფილისის გუბ. გორის მაზრაში სოფ. ტორტიზს. |
| მელიქოვი, მიხეილ ივანეს-ძე. | სახნავ-სათესი საბალახე ადგილი და ტყე, 1041 დეს. 500 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფ. გუბ. და მაზრაში, არაბათალაში, ფანიან-თაქიალში, ხუჯაბაში, მამიგაშელაში, თეთურში და სხვა. |
| ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის-ძე. | სახნავ-სათესი, საბალახე, სათიბი ადგილები და ტყე, 1292 დეს. და 1600 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფილისის გუბ. და მაზრაში, აბულიუყის უდაბნოში. |
| მაყაშვილები, გიორგი რევაზის-ძე და ზურაბ ივანეს-ძე. | სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, 660 დეს. და 1500 ოთხ-კუთხი საჟენი. | ტფილისის გუბ. თიონეთის მაზრაში, სოფ. ბოტკოში. |
| შალიკოვისა, ეკატერინა პაატის ასული. | სახნავ-სათესი ადგილი და ტყე, 130 დესიატ. | ტფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ვეჯინში, ბურჯიანში და ნაურთალო. |
| ორბელიანები: გრიგოლ და ივანე კონსტანტინეს-ძენი. | სახნავ-სათესი, სათიბე ადგილები და ტყე, 731 დეს. 1570 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფ. გუბ. ტფ. მაზრაში სოფ. მირინაჯინო (იგივე იფნარა და თამას კუმის. |
| ნათიევისა, მარიამ ზაალის ასული. | სახნავ-სათესი ადგილი და ტყე, 56 დეს. 120 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფ. გუბ. დუშეთის მაზრაში, სოფ. სამადურას. |
| ამატუნი, ნაპოლეონ ივანეს-ძე. | ვენახი, 2 დეს. 90 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფ. გუბ., სიღნაღის მაზრაში, სოფ. კარდანახი. |
| ავალიშვილი, სიმონ ივანეს-ძე. | ვენახი 2 დესიატინა. | ტფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ჩუმლაყი. |
| ვახვახიშვილი, ზაქარია ივანეს-ძე. | ვენახი, 7 დეს. 920 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფ. გუბ., თელავის მაზრაში, კურდღელაური. |
| რუსიევისა, ელისაბედ ივანეს ასული. | საბალახე და სამოსახლო ადგილი, 1470 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფ. გუბ. თელავის მაზრაში, კურდღელაური. |
| მკალაშვილები, სერგეი და ალა ვართანის-ძენი. | ვენახი და ბაღი ნახევარ დესეტინა. | ტფ. გუბ., დუშეთის მაზრა, სოფ. მუხრანი. |
| რატიშვილი, ზურაბ გიორგის-ძე. | ვენახი სახნავ-სათესით, 13 დეს. 1200 ოთხ-კუთ. საჟ. | ტფ. გუბ. დუშეთის მაზ. სოფ. ქსოვრისი. |
| ნადირაძე, სერგეი პეტრეს-ძე. | ვენახი და ბაღი, 3600 ოთხ-კუთხ. საჟ. | ტფილ. გუბ. შულავერ. ადმინისტრ. დიდი შულავერი.— |
| ერისთავი, რაფიელ დავითის-ძე. | სათიბი ადგილები და ტყე, 204 დეს. და 1200 ოთხ-კუთხ. საჟ. | ტფ. გუბ. თიანეთის მაზრაში, ბოჭორმაში. |
| ჯორჯაძისა, ნინო ივანეს ასული. | სამი ვენახი, სივრცით 7 დეს. 1620 საჟ. | ტფ. გუბ. თელავის და სიღნაღის მაზრებში, სოფ. ვეჯინს და ტურის-ციხეში. |
| კალატაური, გიორგი ივანეს-ძე. | ვენახი სივრცით 1 დესიატ. | ტფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. დიღომს. |
| მაყალოვისა, ნინო სარდიონის ასული. | ვენახი სივრცით 6 დესიატ. | ტფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბაკურციხეს. |
| ნახუცრიშვილი, ლუკა ივანეს-ძე. | ვენახი და თან შენობა, სივრცით 8 დეს. | ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. ყარაბულახს. |
| რუსიევისა, სოფიო ნიკოლოზის ასული. | ორთ-სართულიანი ქვითკირის სახლი კუთვნილებით, თან ადგილი 264 ოთხ-კუთხი საჟ. | ქ. თელავში. |
| ანდრონიკოვისა, ნატალია გრიგოლის ასული. | ვენახი, $2^1/_2$ დესიატ. | ტფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ვეჯინს, ქიჩისხევში. |
| ხირსელოვი, იერემია იოსების-ძე. | ვენახი ქვითკირის მარნით, თან ადგილი 2 დესიატ. და 825 ოთხ-კუთხი საჟ. | ტფ. გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. კურდღელაურში. |
| იაგოროვი, ივანე ივანეს-ძე. | ვენახი და ბაღი შენობებით, ადგილის სივრცე $678^2/_8$ ოთხ-კუთხი საჟ. | მე-10 უჩასტკაში 2 განყოფ. ქ. ტფილისში, წყლის პირას ქუჩაზე, № 29. |

Дозволено цензурою Тифлисъ, 7 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი